ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–19

2022 წელი; 17 ნოემბერი; 12:00 სთ. ქ. თბილისი;

თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
გიორგი ონიანი
ცოტნე კობერიძე
ზაზა თავაძე

მოწვეული პირები:

- ლევან მიქავა – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- თამარ მელიქიშვილი - სსიპ - სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მარიამ ჩივაძე - ჯანდაცვისა და სოციალური საქალაქო სამსახურის იურისტი;
- მაკა ნასრაშვილი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

**დღის წესრიგი**

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის 84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

5. "ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.003 და N81.03.17.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

6. "ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში (საკადასტრო კოდი: N81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

7. "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N39-ში მდებარე 74.47 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.022.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

8. “ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში მდებარე 20.57 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის“ (ს/ნ: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ლევან მიქავამ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს **დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა.** როგორც მან აღნიშნა, თბილისის მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პირველადი ვერსია 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 133 მილიონი ლარით არის გაზრდილი და 1,438,775 ათას ლარს შეადგენს. ლევან მიქავამ კომისიის სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - **415 096,4 ათასი ლარი;**
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - **223 813,7 ათასი ლარი;**
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **169 251,7 ათასი ლარი;**
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **1 879,5 ათასი ლარი;**
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **38 696,3 ათასი ლარი;**
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **144 160,7 ათასი ლარი;**
- განათლება - **224 917,8 ათასი ლარი;** კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **43 031,4 ათასი ლარი;**
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - **6 436,8 ათასი ლარი;**
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - **171 490,9 ათასი ლარი.**

✓ **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 415 096,4 ათასი ლარით,** რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 152 203,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 84 739,4 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლაშეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 51 739,4 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 30 357,0 ათასი ლარი (მათ შორის: თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების II ფაზის ფარგლებში ავტობაზის მშენებლობისთვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 9 000,0 ათასი ლარი), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 20 000,0 ათასი ლარი (თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 20 000,0 ათასი ლარი, სესხის პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნება 40 ახალი ვაგონი და მეტროს დეპოს რეაბილიტაცია), მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა - 4 000,0 ათასი ლარი (ვარკეთილის მეტროს სადგურის რეაბილიტაცია), **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 276 000,0 ათასი ლარი.** აღნიშნულ ქვეპროგრამაში გათვალისწინებულია

რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა (მეტრო) ტრანსპორტის, საბაგიროს, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მიერ გაწეული მომსახურების საფასური;

✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 223 813,7 ათასი ლარით, შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 32 703,8 ათასი ლარი (მათ შორის გრძელდება უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების მშენებლობარეკონსტრუქცია, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 12 800,0 ათასი ლარი (დაახლოებით 30-მდე შენობა-ნაგებობის გამაგრება), გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 33 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 62 073,7 ათასი ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 54 918,2 ათასი ლარი), ავარიული სახლების ჩანაცვლება - 20 000,0 ათასი ლარი (დაახლოებით 10 ახალი კორპუსის მშენებლობა), ქალაქის განვითარების ხელშეწყობის (44 296,2 ათასი ლარი) პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა: ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოების, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია;

✓ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 169 251,7 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 1 934,6 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 55 801,3 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 107 000,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 8 450,4 ათასი ლარი;

✓ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 34,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება შემდეგი პროგრამების დაფინსება: ბიზნესის სტიმულირება - 383,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 326,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 130,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა - 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 480,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი;

✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 696,3 ათასი ლარი, მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 659,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის

რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 600,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება, ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები;

✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144 160,7 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 27 160,6 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და მუცუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 117 000,0 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლაპატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა;

✓ განათლება დაიგეგმა - 224 917,8 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 16 309,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 187 300,0 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: დასრულდება 10 ბაღის მშენებლობა/რეაბილიტაცია, გაგრძელდება 2 ახალი ბაღის მშენებლობა), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლეახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა;

✓ **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 43 031,4 ათასი ლარით.** 2023 წელს გაგრძელდება კულტურის ობიექტების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწრთვნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა და აღჭურვა, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (მათ შორის ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის N4 ხელოვნების სკოლის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები), მუზეუმების გაერთიანების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ილია ჭავჭავაძის და მერაბ კოსტავას სახელობის მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება და აღჭურვა). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა;

✓ **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 436,8 ათასი ლარით.** პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები: თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 1 817,1 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 4 619,7 ათასი ლარით;

✓ **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 171 490,9 ათასი ლარით.** პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 2 500,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი - 720,0 ათასი ლარი თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 12 426,3 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 4 813,9 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 23 160,8 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 12 448,4 ათასი ლარი. დაემატა ერთი ახალი პროგრამა - მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 5 358,0 ათასი ლარი.

დასასრულს, **მომხსენებელმა** განმარტა, რომ ბიუჯეტის პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს. ამასთანავე, დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით წარადგინა რეკომენდაციები, კერძოდ:

✓ მიზანშეწონილია გაიზარდოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის მიმართულებით დაფინსება, რითიც მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტული სამუშაოების დაფინანსება. მათ შორის: მოხდება ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ამასთან, მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესდება საცხოვრებელი გარემო.

✓ ასევე, შესაბამისი საქალაქო სამსახურების ჩართულობით წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების განსახორციელებლად დამტკიცებული წესები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უნდა წარმოედგინოს ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შემდგომ.

კომისიის წევრებმა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირეს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ** და ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ - **გიორგი ონიანმა;**

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **ცოტნე კობერიძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა გადაწყვიტეს, რომ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ძირითადად იურიდიულად გამართულია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

მოისმინეს:

**2.** ჯანდაცვისა და სოციალური საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა

სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის 84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის 84-64 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „სამედიცინო და სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“-ს მე-5 მუხლში **შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტის დამატებას:**

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ.დ“ და „გ.ზ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დათქმიდან გამონაკლისს წარმოადგენს საყოველთაო წესით დაფინანსებული ისეთი გადაუდებელი შემთხვევები, რომლებზეც მიმწოდებელი, მოდულში გადმოაგზავნის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას, მოსარგებლე პირის გაწერიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.“

როგორც **მარიამ ჩივაძემ** განმარტა, დადგენილების მოქმედი რედაქციით განსაზღვრულია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა საჭიროების დაფინანსების თხოვნასთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი განცხადების განხილვაზე, უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნულ საფუძვლებს შორის, წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „გ.დ. და გ.ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია, შემდეგი გარემოებანი:

**„გ.დ)** ინფორმაციის შესწავლისას (მათ შორის, ფორმა №IV-100/ა ან სხვა დოკუმენტები) დადგინდა, რომ პირს უკვე გაეწია სამედიცინო მომსახურება და გაწერილია შესაბამისი დაწესებულებიდან;

**გ.ზ)** განცხადების შესწავლისას დადგინდა, რომ პირი ითხოვს დაფინანსებას დავალიანების დაფარვისათვის“.

**ზემოაღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილების მიღებისას, გამონაკლისის სახით, იხელმძღვანელებს, პროექტით წარმოდგენილი შემდეგი დათქმით:**

**„გამონაკლისს წარმოადგენს, საყოველთაო წესით დაფინანსებული ისეთი გადაუდებელი შემთხვევები, რომლებზეც მიმწოდებელი, მოდულში გადმოაგზავნის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას, მოსარგებლე პირის გაწერიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.“**

დასასრულს, **მარიამ ჩივაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან. ამასთან, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის 7 ნოემბერი.

**აზრი გამოთქვეს:**

ლევან ჟორჟოლიანმა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მიზანშეწონილია, პროექტის პირველ მუხლის პრეამბულაში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 **დადგენილების სათაური**, ასევე, ამავე მუხლში, წესის მე-5 მუხლის ახალი, მე-6 პუნქტის რედაქციაში, ნაცვლად სიტყვისა: „დათქმიდან", მიეთითოს სიტყვა „**დათქმები**". ასევე, ამავე ჩანაწერში, ნაცვლად სიტყვებისა „საყოველთაო წესით", მიეთითოს - **საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით**" და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შესაბამისად.

2. თავმჯდომარემ, ასევე განმარტა, რომ მიზანშეწონილია, რომ დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

**„მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 7 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე."**

**საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯომარის მიერ მითითებული შენიშვნები.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ - **ზაზა თავაძემ;**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **მაკა ნასრაშვილმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

როგორც **მაკა ნასრაშვილმა** განმარტა, **UNESCO World Book Capital („წიგნის მსოფლიო დედაქალაქი")** – ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც 2002 წელს UNESCO-ს გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით დაარსდა. ის მიზნად ისახავს წიგნის და კითხვის პოპულარიზაციას, წიგნის ინდუსტრიის და მომიჯნავე დარგების სტიმულირებას, ასევე თანამედროვე ავტორების, მთარგმნელების, ბიბლიოთეკების და გამომცემლების

მხარდაჭერას. მას შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნის ქალაქებს ის წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსს ერთი წლით ანიჭებს.

**მაკა ნასრაშვილმა** განმარტა, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისი, 2021 წლის 23 აპრილიდან 2022 წლის 23 აპრილამდე იყო წიგნის მსოფლიო დედაქალაქი. მისივე თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით დაფუძნდა ა(ა)იპ **„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“** რომლის მიზანს წარმოადგენდა პროექტის - „თბილისი-UNESCO-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“ განხორციელება.

**მომხსენებელმა** იქვე დასძინა, რომ პროექტის მიზნებისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას იუნესკოს წინაშე ქონდა აღებული 50-მდე სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი, კულტურული და ინფრასტრუქტურული ვალდებულება. როგორც მან აღნიშნა, ამ დროისთვის პროექტი დასრულებულია და შესრულებულია პროექტის ფარგლებში ნაკისრი ყველა ვალდებულება. ხოლო, იუნესკოს მხრიდან მიღებულია უმაღლესი შეფასება.

**საკითხის წარმომდგენმა** განაცხადა, რომ ვინაიდან, ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქმა“ შეასრულა პროექტის ფარგლებში ნაკისრი ყველა ვალდებულება, ამასთანავე, ვინაიდან აღნიშნულ იურიდიულ პირს არ აქვს ქონება, არ აქვს ვალდებულებები სახელმწიფოსა და ფიზიკური/იურიდიული პირების წინაშე, გამომდინარე აღნიშნულიდან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა თანხმობას სთხოვს თბილისის საკრებულოს, ა(ა)იპ - **„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ლიკვიდაციის თაობაზე.**

დასასრულს, **მაკა ნასრაშვილმა** თქვა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოთ მითითებული განკარგულებით, აღნიშნული იურიდიული პირის **სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ვადად განისაზღვრა პროექტის საბოლოო ანგარიშის წარდგენა, არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბერი.**

აზრი გამოთქვეს:

**კახაბერ ლაბუჩიძემ** პროცესში ჩართულ ყველა მხარეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. მანვე აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე პროექტი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, მიუხედავად ამისა, პროექტმა იუნესკოს მხრიდან უმაღლესი შეფასება და აღიარება მოიპოვა.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**4.** სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **თამარ მელიქიშვილმა**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ -**

ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-308-26-19647 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის თქმით, 2016 წელს, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში - სააგენტო) და შპს „თაბორი რიზორთს" (შემდგომში - კომპანია) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიას საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე **297 576 კვ.მ** მიწის ნაკვეთი **(ს/კ: 01.18.01.002.160)**, რომელიც დღეის მდგომარეობით გაერთიანებულია სხვა საკადასტრო ერთეულთან. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა:

ა) აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის, 6 326 495 (ექვსი მილიონ სამას ოცდაექვსი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის, სრულად გადახდა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) თვის ვადაში არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ;

გ) სასტუმრო კომპლექსისთვის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ერთეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობა;

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულებამდე, პროექტის ფარგლებში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება (ახალი ხე-ნარგავების შერგვა), ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მოგვიანებით - 2020 წელს, ცვლილება განხორციელდა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში და მშენებლობის დასრულების ვადად განისაზღვრა **2022 წლის 31 დეკემბერი.**

როგორც თამარ მელიქიშვილმა აღნიშნა, 2022 წლის 20 ოქტომბერს სააგენტოს განცხადებით მიმართა აუქციონში გამარჯვებულმა და განაცხადა, რომ მან სრულად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კეთილმოწყობისა და გამწვანების ვალდებულებები, კერძოდ, დამატებით დაირგო 12000 ძირი ახალი ხე-მცენარე, კეთილმოეწყო ტერიტორია, განვითარდა სარეკრეაციო სივრცე და მოეწყო საირიგაციო სისტემა. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების მიხედვით, მყიდველის ვალდებულებას წარმოადგენდა მიეწყო სულ მცირე 50 მანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი და აეშენებინა არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო, აღნიშნული ტერიტორიის სრულყოფილად განვითარების მიზნით მყიდველი უზრუნველყოფდა 180 ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მოწყობას და 177 ნომრიანი სასტუმროს მშენებლობას. ამასთანავე, აუქციონში გამარჯვებულის განცხადებით,

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით არ ყოფილა განსაზღვრული განსახორციელებელი ინვესტიციის მინიმალური ოდენობა, სასტუმრო კომპლექსის მშენებლობასა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების მიზნით განხორციელებულია 55 000 000 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და სამუშაოების სრულად დასრულებისთვის დამატებით იგეგმება არანაკლებ 40 000 000 აშშ დოლარის ინვესტირება.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ პანდემიით გამოწვეულმა არასტაბილურმა გარემომ და თანმდევმა ეკონიმიკურმა ფაქტორებმა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ვალდებულებების დადგენილ ვადაში შესრულებაზე. შესაბამისად, კომპანიის მხრიდან მოთხოვნილია ხელშეკრულების „ზ" პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება **2024 წლის 31 დეკემბრამდე.**

დასასრულს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ცვლილება შედის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებაში, აღნიშნული ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობების „ზ" პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ზ) არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ონიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**5. თამარ მელიქიშვილმა,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის რამდენიმე რაიონში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები და აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა მაია კურატაშვილს (57.49 კვ.მ. და 27.53 კვ.მ.) და **დავით მანჯავიძეს (54.47 კვ.მ. და 27.06 კვ.მ.) - (ჯამში 166.55 კვ.მ.),** რომლებიც **2002-2007 წლებიდან** ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით,

მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით და კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტით.

დასასრულს, **თამარ მელიქიშვილმა** თქვა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**6. თამარ მელიქიშვილის** განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ N1-ში მდებარე უძრავი ქონება (**ჯამში 310.44 კვ.მ.**), პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2022 წლის 9 ნოემბრის N22.1719.1849** განკარგულებით გათვალისწინებულ **6 (ექვსი)** პირს, რომლებიც **1994-2000 წლებიდან** ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით და კრწანისის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით.

დასასრულს, **თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**7.** თამარ მელიქიშვილმა, ისაუბრა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-7 საკითხზე, რომლის შესაბამისად, ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა N39, 1 სართულზე მდებარე **74.47 კვ.მ.** ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **ჯამბული კუპატაძეს, რომელიც 2008 წლიდან - დღემდე** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

**სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა** აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილია, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილი, რომლის შესაბამისად დგინდება, რომ სააგენტოში, მიმდინარეობს მოქალაქე ჯამბული კუპატაძის ოჯახის წევრებისთვის - შვილისთვის და ყოფილი მეუღლისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანის სამხედრო დასახლებაში მდებარე უძრავი ქონების დაკანონების პროცესი. ამასთან, წარდგენილია ჯამბული კუპატაძის მეუღლესთან განქორწინების მოწმობა.

**თამარ მელიქიშვილმა** იქვე დასძინა, რომ სააგენტოში ასევე წარდგენილია, აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

დასასრულს, **თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ჯამბულ კუპატაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

**ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8.** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით **მე-8** საკითხთან დაკავშირებით **თამარ მელიქიშვილმა** აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N4 მდებარე **20.57 კვ.მ** უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, დევნილის სტატუსის არმქონე პირს - **მოქალაქე ლევან ჭანტურიას.**

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით სააგენტოში წარდგენილია შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- ✓ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს წერილზე თანდართულ გასაუბრების ოქმები, სადაც მითითებულია, რომ ლევან ჭანტურია და მისი ოჯახი 2006 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

- ✓ ამხანაგობა „ფერმწერთა-2020"-ის ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმი, რომლითაც დგინდება, რომ ლევან ჭანტურია ბოლო 11 წელიწადია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

- ✓ გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ ლევან ჭანტურია ოჯახთან ერთად ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრებს 2012 წლიდან.

- ✓ ლევან ჭანტურიას ოჯახის წევრების თანხმობა დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ლევან ჭანტურიასთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

- ✓ ასევე, წარმოდგენილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით, რომლის მიხედვით ოჯახის მიმდინარე სარეიტინგო ქულა არის 9070.

დასასრულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებული პირის და მისი ოჯახის წევრების სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**9.** თამარ მელიქიშვილმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.030) ტერიტორიიდან 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული 51 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.04.020.038) ტერიტორიიდან 43 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის" (ს/ნ: 400307958) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

**მომხსენებლის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული **3134 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ის მიმდებარედ არსებული **51 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის ტერიტორიებიდან ჯამში **-70 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ჯი პი ემ ჰოტელს მენეჯმენტისთვის"** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **5 (ხუთი) წელი;**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **16 800 (თექვსმეტი ათას რვაასი) ლარი;**

**ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია 2022 წლის 17 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2032 წლის 15 მარტამდე ვადით ფლობს ქ. თბილისში, ფხოვის ქ. N6-ში მდებარე უძრავ ქონებას.

**მომხსენებლის** თქმით, ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**10. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა** კომისიის წევრებს კომისიათა პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი გააცნო. როგორც მან აღნიშნა, მ/წლის 7 ოქტომბერს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დავით ფარცვანიამ შესაბამისი წერილით აცნობა თბილისის საკრებულოს, რომ მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს დატოვა ფრაქცია ,,თბილისი საქართველოსთვის".

**კომისიის თავმჯდომარემ** იქვე დასძინა, რომ მ/წლის 16 ნოემბერს დავით ფარცვანიამ ასევე წერილით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს. წარმოდგენილი წერილის თანახმად, მას, როგორც საკრებულოს წევრს, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, სურს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დატოვება და იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში შესვლა.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიიჩნია, რომ დაცულია საკრებულოს წევრის მიერ კომისიაში გაწევრიანების წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს. შესაბამისად, კომისია დანართის სახით წარმოადგენს ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

**სხდომის თავმჯდომარე** **ლევან ჟორჟოლიანი**

**სხდომის მდივანი** **ნინო ჯალაღანია**